ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა / Theory and History of Art

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი / BA in Theory and History of Art

სპეციალობა: ხელოვნებათმცოდნეობა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESTC კრედიტი. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ხელოვნებათმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამით **ხელოვნებათმცოდნეობის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე.
  დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.
  დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე).
- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება, ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ხელოვნებათმცოდნეობის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის **120 ECTS** კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან **75 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად სავალდებულო მაპროფილებელ დისციპლინებს, ხოლო **35 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაზისო ცოდნა ხელოვნებისა და არქიტექტურის სხვადასხვა სფეროს, პერიოდისა და მიმართულების შესახებ. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ განათლება ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მოემზადონ სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის.
პროგრამა სტუდენტებს აძლევს სპეციალიზებულ ცოდნას მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში წინარექრისტიანული ხანიდან დღემდე; ჩამოუყალიბებს და განუვითარებს მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.

დარგის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მასში გაერთიანებული საგნები ისწავლება ეპოქებისა და რეგიონების თანადროული რეალიების ფართო კონტექსტში, კომპარატიული მეთოდით. სავალდებულო საგნების გარდა, სტუდენტს ეძლევა არჩევითი დისციპლინების ფართო არჩევანი. სწავლების ამ საფეხურზე გათვალისწინებულია ლექციები, სემინარები, წერითი სამუშაოები, დისკუსია, გასვლითი პრაქტიკა როგორც საკუთრივ ძეგლებზე, ისე მუზეუმებში, ხელოვანთა სახელოსნოებში. ხელოვნების ისტორია, როგორც საუნივერსიტეტო საგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსებიდან არსებობს. ხანგრძლივი ტრადიციის პირობებში ეს დარგი გათვალისწინებულია, როგორც საკუთრივ ხელოვნებათმცოდნეებისათვის, ისე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის.

სასწავლო პროგრამა განაპირობებს ფართო პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება თანამედროვე დასაქმების ბაზარზე.

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება სწავლის გაგრძელების და პიროვნული განვითარების საშუალება დემოკრატიული ფასეულობების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

1. **ცოდნა და გაცნობიერება:**

1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	**ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.4	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი**
1.5	ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.6	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით)
1.7	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)
1.8	სპეციფიკური ცოდნა ანტიკური ხელოვნების არსაა და ფუნქციებზე, ფილოსოფიურ საფუძვლებზე, მსოფლმხედველობით წანამღვრებზე და მის ძირითად სტილისტურ თავისებურებზე. ხელოვნების ნაწარმოების ფორმის ანალიზის ჩვევები, ცოდნა არქიტექტურის კონსტრუქციულ და კომპოზიციურ საფუძვლებზე (ანტიკური ორდერების და ა.შ. მაგალითზე) და სხვ.	ანტიკური სამყაროს ხელოვნება (სავალდებულო); ძველი სამყაროს ხელოვნება და საქართველო (არჩევითი)
1.9	ცოდნა ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების შესახებ. რეგიონის (შუამდინარეთი, ეგვიპტე, ანატოლიის ზეგანი, არაბეთის ნახევარკუნძული) ხელოვნების კვლევის ისტორიის, მიზნების, მნიშვნელობის, უძველესი კულტურების	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); ძველი სამყაროს ხელოვნება და საქართველო (არჩევითი)

	წარმოშობის, მათი სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესახებ;	
1.10	სპეციფიკური ცოდნა ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების არსაა და ფუნქციებზე, მსოფლმხედველობით წანამღვრებზე დ ძირითად სტილისტურ თავისებურებზე. ურთიერთობა მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროსთან. ხელოვნების ნაწარმოების ფორმის ანალიზის ჩვევები, ცოდნა არქიტექტურის კონსტრუქციულ და კომპოზიციურ საფუძვლებზე და სხვ.	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); ისლამური ხელოვნება და საქართველო (არჩევითი)
1.11	ცოდნა მსოფლიო ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის – შუა საუკუნეების ევროპის – დამახასიათებელი თავისებურებების, დარგთა მრავალფეროვნების შესახებ:კულტურული, ისტორიული და რელიგიური კონტექსტის შესახებ, რომელშიც ყალიბდება და ვითარდება შუა საუკუნეების ხელოვნება;	შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); ევროპული ხელოვნება (რენესანსი) (სავალდებულო)
1.12	სპეციფიკურ ცოდნა აღმოსავლური ხელოვნების არსაა და ფუნქციებზე, ფილოსოფიურ საფუძვლებზე, მსოფლმხედველობით წანამღვრებზე და მის ძირითად სტილისტურ თავისებურებზე. ხელოვნების ნაწარმოების ფორმის ანალიზის ჩვევები, ცოდნა არქიტექტურის, სახვითი და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ძირითად საფუძვლებზე და სხვ.	აღმოსავლური ხელოვნება (სავალდებულო); ისლამური ხელოვნება და საქართველო (არჩევითი)
1.13	ცოდნა დასავლეთ ევროპის კულტურის ზოგად-ტიპოლოგიური ნიშნების, სპეციფიკიური სოციო-კულტურული ძვრების შესახებ მე-13-16 სს. რენესანსის შიდა კანონზომიერებების, ეტაპების, განვითარების ლოგიკის შესახებ; აღორძინების ეპოქის სპეციფიური თვისებების გამოვლინების შესახებ სხვადასხვა სკოლების, ხელოვანთა შემოქმედებაში.	ევროპული ხელოვნება (რენესანსი); შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება (სავალდებულო);
1.14	ცოდნა ევროპის ახალი ხელოვნების საფუძვლების, ფილოსოფიური, მსოფლმხედველობითი წანამძღვრების, ზოგადი ტენდენციების შესახებ. ბაროკოს ფერწერისს, გამოყენებით ხელოვნების და არქიტექტურის, ჰოლანდიის "ოქროს საუკუნის" ფერწერის, ესპანეთის ფერწერულ სკოლას,	ევროპული ხელოვნება მე–17–18 სს.) (სავალდებულო)

	XVIII ს-ის ინგლისის ფერწერის, კლასიციზმის და ნეოკლასიციზმის არქიტექტურის, როკოკოს ხელოვნების და სხვ, შესახებ, აგრეთვე XVIII–XIX სს. მიჯნის ახალ რეალისტურ ტენდენციების შესახებ ევროპის სახვით ხელოვნებაში.	
1.15	ცოდნა XX საუკუნის ევროპისა და ამერიკის სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ძირითადი და მოწინავე მიმართულებების შესახებ. უცხოური სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურის დამუშავებით სტუდენტი შესძლებს ევროპული და ამერიკული სახვითი ხელოვნების საფუძვლიან შესწავლას, რაც შემდგომში გაუადვილებს მას თანამედროვე ქართულ ხელოვნებში არსებული პროცესების შესწავლას და გააზრებას.	მე–19–20 სს. ხელოვნება (აშშ, ევროპა) (სავალდებულო); იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი (არჩევითი)
1.16	ცოდნა ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების განვითარებაში მიმდინარე პროცესების, მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების და ხელოვნების ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური თავისებებების შესახებ.	ძველი საქართველოს არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება (სავალდებულო); ძველი სამყაროს ხელოვნება და საქართველო (არჩევითი)
1.17	სპეციფიკური ცოდნა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების და სახვითი ხელოვნების შესახებ, ფორმირების ისტორიულ-კულტურულ წანამძღვრებზე, შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე პროცესების ხასიათსა და ტიპოლოგიურ-სტილისტურ თავისებურებებზე,არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალზე და ქართული არქიტექტურის თავისთავადობის განმაპირობებელ ფაქტორებზე. არქიტექტურული ძეგლის ფორმის ანალიზის კვლევის ჩვევები.	შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (სავალდებულო); ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრება (არჩევითი); ძველი ქართული ოქრომჭედლობა (არჩევითი); ძველი ქართული კედლის მხატვრობა (არჩევითი); ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოს ფარგლებს გარეთ (არჩევითი)
1.18	სპეციფიკური ცოდნა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ქართული და მსოფლიო ხუროთმოძღვრების არსაა და	მე–19–20 სს. ქართული არქიტექტურა (სავალდებულო);

	ფუნქციებზე, მსოფლმხედველობით წანამღვრებზე და ძირითად სტილისტურ თავისებურებზე. ს არქიტექტურული ძეგლის ფორმის ანალიზის ჩვევები, ცოდნა არქიტექტურის კონსტრუქციულ და კომპოზიციურ მახასიათებლებზე და სხვ.	თანამედროვე არქიტექტურა: განვითარება გლობალიზაციისკენ (არჩევითი)
1.19	ცოდნა ახალი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის, ძირითადი მიმდინარეობებისა და სტილების,პერიოდში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების შესახებ.	ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება (არჩევითი); მხატვარი თეატრში – სცენოგრაფიის ისტორია (არჩევითი)
1.20	არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, შეფასების, ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარი. სქემატური ანაზომების, ჩანახატების კეთების უნარი.	საველე პრაქტიკა (სავალდებულო; არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების ძეგლთა რესტავრაციის საფუძვლები) (არჩევითი)
1.21	სახვითი ხელოვნების მხატრული ნაწარმოების ანალიზს. სტუდენტი გაიცნობს სახვითი ხელოვნების „სამეტყველო ენას“.სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის იმ სახვით საშუალებებს (კომპოზიცია, ფორმა, ფერი, ხაზი, შუქ-ჩრდილი, რიტმი და სხვა), რომელთა საშუალებით იქმნება მხატვრული ნაწარმოები.	მხატვრული ნაწარმოების ანალიზი
1.22	სპეციფიკური ცოდნა ხელოვნების სინთეზური დარგების შესახებ. ცოდნა ვიზუალური ხელოვნების განსაკუთრებული დარგის, დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების შესახებ.	თეატრის ისტორია (არჩევითი); კინოს ისტორია (არჩევითი);მხატვარი თეატრში– სცენოგრაფიის ისტორია (არჩევითი); კოსტიუმის ისტორია (არჩევითი); დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნება (არჩევითი)
1.23	სპეციფიკური ცოდნა მუზეუმების და გალერეების მენეჯმენტის, მარკეტინგის და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების შესახებ.	მუზეუმები და გალერეები _ მართვის თანამედროვე მეთოდები (არჩევითი)
1.24	ცოდნა ხელოვნეობათმცოდნეობის არსის, სპეციფიკის,	ხელოვნებათმცოდნეობის

	მეთოდების, თეორიების შესახებ.	შესავალი (საფაკულტეტო არჩევითი)
1.25	ზოგად, სისტემატიზირებულ ცოდნას მსოფლიო და ქართული ხელოვნების ეტაპობრივი განვითარების შესახებ.	მსოფლიო ხელოვნების ისტორია (საფაკულტეტო არჩევითი); ქართული ხელოვნების ისტორია (საფაკულტეტო არჩევითი);

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

2.1	ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.	**ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.2	ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.3	საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა **ინგლისურ ენაზე.** ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით);
2.4	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)
2.5	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი**

	ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.7	ინტელექტუალურ, მხატვრულ, ისტორიულ კონტექსტში. დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, შეძლებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); ანტიკური სამყაროს ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (სავალდებულო); ევროპული ხელოვნება მე–17–18 სს.) (სავალდებულო)
2.8	საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობის, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.	მუზეუმები და გალერეები _ მართვის თანამედროვე მეთოდები (არჩევითი)
2.9	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ხელოვნებათმცოდნეობით, ასევე ისტორიულ-რელიგიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ისტორიულ–ხელოვნებათმცოდნეობითი ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და	ძველი სამყაროს ხელოვნება და საქართველო (არჩევითი) ისლამური ხელოვნება და საქართველო (არჩევითი) თანამედროვე არქიტექტურა: განვითარება გლობალიზაციისკენ (არჩევითი) მოდერნიზმიდან პოსტავანგარდამდე (არჩევითი)

	ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.	

დასკვნის უნარი:

ანალიზის უნარი, სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, განმარტების, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;ვიზუალური მასალის ღრმა ცოდნასთან ერთად დაეუფლებიან მრავალმხრივი ანალიზის, ისტორიული და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების მეთოდოლოგიებს, შეეძლებათ სპეციფიკური საგნებისა და საკითხების განხილვა ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის სფეროში.

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტს აქვს კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი, ქართულ და უცხოურ ენებზე: აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიული მიზნებისთვის გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი:

- სტუდენტი შეიძენს ახალი მეთოდების ათვისების, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარს; შეიძენს დარგში მიმდინარე ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური, პრაქტიკული და მეცნიერული სიახლეების თვალყურის მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.
- მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

ბაკალავრს აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის,

ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. სტუდენტი იცავს აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. ეცნობა პროფესიული ეთიკის ნორმებს. გამოიმუშავებს შემწყნარებლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად **ხელოვნებათმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, და სხვ.). პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80 – კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 – საკმარისი, E; 41-50 – ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შუალედური შეფასების შემდეგ სემინარზე ხდება ტიპიური შეცდომების განხილვა–ანალიზი.

დასაქმების სფეროები: ორგანიზაციები, სადაც კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობა:

- ზოგადასაგანმანათლებლო სკოლები (პედაგოგიკის minor პროგრამის, მაძიებლობის გავლის და სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ)
- მუზეუმები და სამხატვრო გალერეები
- საგამომცემლო ორგანიზაციები
- მედია
- ტურისტული სააგენტოები
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები კულტურის სფერო.

- არასამთავრობო ორგანიზაციები

სწავლის გაგრძელების საშუალება: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად მაგისტრატურაში, ხოლო შემდგომ – დოქტორანტურაში, როგორც ხელოვნებათმცოდნეობაში, ისე ჰუმანიტარული სფეროს სხვადასხვა დარგში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფ. ზაზა სხირტლაძე

დამატებითი ინფორმაცია:

- საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია სწავლების მეორე სემესტრიდან (მაპროფილებელი საგნების სწავლება შვიდი სემესტრის მანძილზე გრძელდება);
- რეკომენდებულია, ევროპული ენის **საფაკულტეტო სავალდებულო 10 კრედიტის** გარდა, სრულიად **თავისუფალი 10 კრედიტის** ხარჯზე, სტუდენტმა გაიღრმავოს ამ ენის ცოდნა და აიმაღლოს მისი დონე თსუ ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ევროპული ენების დონეთა მიხედვით დიფერენცირებული სასწავლო კურსების მეშვეობით.
- **ხელოვნებათმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დამატებითი სპეციალობის არჩევისას ვურჩევთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს ისტორიის, პედაგოგიკის, არქეოლოგიის, კულტუროლოგიის, ეთნოლოგიის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება **ხელოვნებათმცოდნეობის** ძირითად პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

სტუდენტის სპეციფიკური ინტერესებიდან გამომდინარე (თუ სტუდენტს კონკრეტული რეგიონის და/ან ეპოქის ხელოვნებისადმი ინტერესი აქვს), შესაძლებელია შესაბამისი დამატებითი პროგრამის გავლა (აღმოსავლეთმცოდნეობა, კლასიკური ფილოლოგია, დასავლურევროპული ენები, ამერიკანისტიკა და სხვ.).

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 3

1	ზაზა სხირტლაძე	სრული პროფესორი
2	ირინე კოშორიძე	ასოცირებული პროფესორი
3	ნათელა ჯაბუა	ასოცირებული პროფესორი
4	მაია ციციშვილი	ასოცირებული პროფესორი
5	ნინო სილაგაძე	ასოცირებული პროფესორი
6	ირინა მირიჯანაშვილი	ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი
7	ნინო ბაგრატიონი	მოწვეული ლექტორი
8	გოგი ხოშტარია	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
9	ქეთევან შავგულიძე	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
10	ოლიკო ჟღენტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
11	ნინო კალანდაძე	ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ბაზაზე. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტს გააჩნია:

კაბინეტი (ფართი 26 მ^2);
კაბინეტთან არსებული ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკა (ფართი 37 მ^2) – 1500 ერთეულამდე წიგნი;
აუდიტორია (ფართი 35 მ^2);
კომპიუტერი (ორი);
პრინტერი (ერთი)
კომპიუტერული პროექტორი (ერთი);
ვიდეომაგნიტოფონი (ერთი);
ტელევიზორი;
ციფრული ფოტოაპარატი.

სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ინსტიტუტის ბიბლიოთეკებზე, უნივერსიტეტის რესურს–ცენტრებზე.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა/ Theory and History of Art

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი: ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო დამატებითი პროგრამის **60** კრედიტიდან **40** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, **20** კრედიტი დამატებითი სპეციალობის არჩევით დისციპლინებს (სადაც სტუდენტი ირჩევს ხელოვნებათმცოდნეობის ძირითადი პროგრამის ნებისმიერ სავალდებულო ან არჩევით დისციპლინას, რომლის წინაპირობასაც აკმაყოფილებს).

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: დამატებითი პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობაში ინარჩუნებს ამავე დარგის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის პროფილს. სასწავლო დისციპლინების გარკეული კონცენტრაციით მსოფლიო სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის განვითარების ზოგადი სურათის წარმოჩენით.
სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ განათლება ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მოემზადონ სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ აკადემიურ საფეხურზე აღნიშნული მიმართულებით.
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც განაპირობებს მისი შანსების გაზრდას შრომით ბაზარზე ძირითად (მაპროფილებელ) სპეციალობასთან კომბინაციაში წარმატებით დასასაქმებლად. ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

სწავლის შედეგი:

დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:
ცოდნა და გაცნობიერება

1.1	სპეციფიკური ცოდნა ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური, შუა საუკუნეების რენესანსის, მე–17–18 სს. ევროპის სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის შესახებ.	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო) ანტიკური სამყაროს ხელოვნება (სავალდებულო) შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო) ევროპული ხელოვნება (რენესანსი) (სავალდებულო) ევროპული ხელოვნება (მე–17–18 სს.)(სავალდებულო) შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (სავალდებულო)
1.2	ცოდნა ახალი და თანამედროვე ქართული და მსოფლიო სახვითი ხელოვნების ისტორიის, ძირითადი მიმდინარეობებისა და სტილების, ამ პერიოდში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების შესახებ.	მე–19–20 სს. ხელოვნება (აშშ, ევროპა)(სავალდებულო) ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება (სავალდებულო)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

2.1	ინტელექტუალურ, მხატვრულ, ისტორიულ კონტექსტში. დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, შეძლებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); ანტიკური სამყაროს ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (სავალდებულო); ევროპული ხელოვნება მე–17–18 სს.) (სავალდებულო)
2.1	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობრივი მონაცემების	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო);

	გააზრება როგორც ხელოვნებათმცოდნეობით, ასევე ისტორიულ-რელიგიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ისტორიულ–ხელოვნებათმცოდნეობითი ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.	ანტიკური სამყაროს ხელოვნება (სავალდებულო); შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება (სავალდებულო);

დასკვნის უნარი:

ანალიზის უნარი, სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, განმარტების, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; ვიზუალური მასალის ღრმა ცოდნასთან ერთად დაეუფლებიან მრავალმხრივი ანალიზის, ისტორიული და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების მეთოდოლოგიებს, შეეძლებათ სპეციფიკური საგნებისა და საკითხების განხილვა ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის სფეროში.

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტს აქვს კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი, ქართულ და უცხოურ ენებზე: აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიული მიზნებისთვის გამოყენების უნდარი.

სწავლის უნარი:

სტუდენტი შეიძენს ახალი მეთოდების ათვისების, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარს; შეიძენს დარგში მიმდინარე ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური, პრაქტიკული და მეცნიერული სიახლეების თვალყურის მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

ბაკალავრს აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. სტუდენტი

იცავს აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. ეცნობა პროფესიული ეთიკის ნორმებს. გამოიმუშავებს შემწყნარებლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
სწავლის შედეგების მისაღწევად **ხელოვნებათმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80 – კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 – საკმარისი, E; 41-50 – ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შუალედური შეფასების შემდეგ სემინარზე ხდება ტიპიური შეცდომების განხილვა–ანალიზი.

დასაქმების სფეროები:

ა. ორგანიზაციები, სადაც კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობა:

- მუზეუმები და სამხატვრო გალერეები
- საგამომცემლო ორგანიზაციები
- მედია
- ტურისტული სააგენტოები
- კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის სფერო
- კულტურის სფერსთან დაკავშირებულ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.
- არასამთავრობო ორგანიზაციები

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფ. ზაზა სხირტლაძე

დამატებითი ინფორმაცია: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია მაქსიმუმ **სწავლების მეოთხე სემესტრიდან**; (მაპროფილებელი საგნების სწავლება ხუთი სემესტრის მანძილზე გრძელდება). ხელოვნებათმცოდნეობის დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სასურველია, შემოვიდნენ სტუდენტები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, არქეოლოგიის, კულტურის კვლევების, ეთნოლოგიის და სხვ. ძირითადი პროგრამებიდან; ასევე სასურველია სტუდენტთა მიღება სოციალ-პოლიტიკური პროფილის პროგრამებიდან (მაგ., ჟურნალისტიკა), ეკონომიკის ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამიდან (მაგ., ტურიზმი და სხვ.). ამ ძირითადი პროგრამების კომბინირება ხელოვნებათმცოდნეობის დამატებით პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 3

1	ზაზა სხირტლაძე	სრული პროფესორი
2	ირინე კოშორიძე	ასოცირებული პროფესორი
3	ნათელა ჯაბუა	ასოცირებული პროფესორი
4	მაია ციციშვილი	ასოცირებული პროფესორი
5	ნინო სილაგაძე	ასოცირებული პროფესორი
6	ირინა მირიჯანაშვილი	ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი
7	ნინო ბაგრატიონი	მოწვეული ლექტორი
8	გოგი ხოშტარია	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
9	ქეთევან შავგულიძე	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
10	ოლიკო ჟღენტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
11	ნინო კალანდაძე	ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ბაზაზე. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტს გააჩნია:

კაბინეტი (ფართი 26 მ^2);

კაბინეტთან არსებული ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკა (ფართი 37 მ^2) – 1500 ერთეულამდე წიგნი;

აუდიტორია (ფართი 35 მ^2);

კომპიუტერი (ორი);

პრინტერი (ერთი)
კომპიუტერული პროექტორი (ერთი);
ვიდეომაგნიტოფონი (ერთი);
ტელევიზორი;
ციფრული ფოტოაპარატი.

სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ინსტიტუტის ბიბლიოთეკებზე, უნივერსიტეტის რესურს–ცენტრებზე.